

შპს ელესჯი (ს/კ -205279928)

"სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის"

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელესჯი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2009 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფ.დიდომი, გიორგი ბრწყინვალეს ქ., N42ბ

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის წილების გადანაწილება 2021 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2021	
ივანე ჩაჩხიანი, 01956001152 (1/3)	100%
მარიამ ჩაჩხიანი, 01256005361 (1/3)	
ნინო ომანაძე, 01025014204 (1/3)	
სულ	100%
დირექტორი - ალექსანდრე სანაძე 01017016552	

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები - 5%
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

ამონაგები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2021
ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	2190676	1 527 146
სხვა შემოსავლები	0	0
სულ	2 201 468	1 659 493

5. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2021
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1 637 478)	(81 987)
სულ	(1 637 478)	(81 988)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2021
რეკლამის ხარჯები	(14 430)	(14 430)
სოციალური დანარიცხები	(3 392)	(3 392)
კომუნიკაციის ხარჯები	(3 696)	(3 696)
დაზღვევა	(28 731)	(28 731)
საკონსულტაციო ხარჯები	(7 715)	(7 715)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(3 241)	(3 241)
საბანკო მომსახურება	(19 253)	(19 253)
სხვა საერთო ხარჯი	(15848)	(15848)
სულ	(96 306)	(62 957)

7. მარაგები

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგები სრულად წარმოადგენს გასაყიდ პროდუქციას.

მარაგები	31.12.2020	31.12.2021
დაუმთავრებელი წარმოება	1,142,900	0
სხვა მარაგები	5,662	3 056 294
მარაგები	1,148,562	3 056 294

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2020	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	60,771	25 087
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	60,771	25 087
გადახდილი ავანსები	28,800	1 057
სულ მოთხოვნები	89,571	26 143
სხვა მიმდინარე აქტივები	96,227	0
სულ ფინანსური აქტივები	185 798	26 143

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2021
ფული სალაროში	394 036	140 932
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	32 614	2 771
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	71	71
სულ	426,721	143 774

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	31,280	98 297
მიღებული ავანსები	767146	475 772
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	784	784
სხვა ვალდებულებები	2194	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	223,684	1 236 996
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,024,304	1 811 849
საგადასახადო ვალდებულებები	0	0

სულ სავაჭრო, და სხვა ვალდებულებები	1,553,670	1 811 849
------------------------------------	-----------	-----------

11. გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2020	31.12.2020
ძირითადი საშუალებები	859,024	1 981 894
არამატერიალური აქტივები	685	438
სულ გრძელვადიანი აქტივები	859,709	1 982 332

12. კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს (3 468 391) ლარს, რომელიც შედგება საწესდებო კაპიტალის (12 231) ლარი და გაუნაწილებელი მოგების (3 456 160) ლარისგან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა (30/09/2022)

დირექტორი:

ხელმოწერა:




შპს ელესჯი
საიდენტიფიკაციო კოდი: 205279928
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
 საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	143 774	426 721	441 246
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25 086	60 771	141 112
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1 057	28 800	32 790
მარაგები	3 056 294	1 148 562	1 788 502
მზა პროდუქცია	0	1 142 900	1 776 565
სხვა	3 056 294	5 662	11 937
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	71 697	96 227	73 778
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	438	548	685
ძირითადი საშუალებები	1 981 894	808 951	859 024
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	5 280 240	2 570 580	3 337 137
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	98 297	31 280	76 475
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	784	784	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	475 772	767 146	801 574
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1 236 996	223 684	675 621
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	2 194	0
სულ ვალდებულებები	1 811 849	1 025 088	1 553 670
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	12 231	531	17 531
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3 456 160	1 544 961	1 765 936
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3 468 391	1 545 492	1 783 467
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5 280 240	2 570 580	3 337 137
სულ მოკლევადიანი აქტივები	3 226 950	1 761 081	2 447 428

შპს ელესჯი		
საიდენტიფიკაციო კოდი: 205279928		
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს		
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი		
საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	1 659 492	2 190 676
საქონლის გაყიდვიდან	1 527 146	1 785 850
მომსახურების გაწევიდან	132 346	404 826
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(81 987)	(1 637 478)
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	1 577 505	553 198
სხვა საოპერაციო შემოსავალი	842 177	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(284 104)	(430 951)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(34 637)	(51 813)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(84 460)	(76 182)
იჯარის ხარჯი	(16 875)	(33 600)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(62 956)	(96 306)
სულ საოპერაციო ხარჯები	359 145	(688 852)
საოპერაციო მოგება	1 936 650	(135 654)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(25 982)	28 445
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1 910 668	(107 209)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(17 653)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1 910 668	(124 862)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		

